



აქტიური ახალგაზრდის სახელმძღვანელო

გინდა პოზიტიური ცვლილებები შენს უბანში?
გაქვს იდეა, რომელსაც განახორციელებდი
სამეზობლოში?

მაგრამ არ იცი როგორ?

გჭირდება იდეა ან ინსპირაცია გააქტიურებისთვის?

ან იქნებ...

მუშაობ ახალგაზრდებთან და გსურს მათი მოტივირება.
ამ პუბლიკაციაში გთავაზობთ რამდენიმე იდეას,
რომლის განსახორციელებლად რამდენიმე მეგობარი,
დრო და ცოტაოდენი ენერჯია საკმარისია.

გახსოვდეთ, ყველა დიდი ცვლილება პატარა
ცვლილებებით იწყება!

მოიწვიე მეზობლები, მეგობრები და იაქტიურეთ
ერთად!

დაგვიმეგობრდით **“Be INvolved (ჩაერთე) -
აქტიური ახალგაზრდების ჯგუფი”** facebook-ზე,
გაგვიზიარეთ თქვენი იდეები!

#1 რეზერვ მთავრად სკვერი შენი ხელით


1. შეარჩიეთ შესაფერისი ადგილი სკვერისთვის.
2. აიღეთ უფლება შერჩეული ადგილის გამოყენებაზე (მერია, კემო მეპატრონე, სკოლა...)
3. შეადგინეთ სკვერის გეგმა, შეგიძლიათ დახატოთ.
4. შეადგინეთ საჭირო ნივთების სია და დაგეგმეთ დაწყების თარიღი.
5. განაცხადეთ დაგეგმილი ღონისძიების შესახებ და მოუხმეთ მოხალისეებს.
6. სამუშაოების დასრულების შემდეგ და სკვერის გახსნის წინ დაასუფთავეთ ტერიტორია.

მოიძიეთ ნივთები, მასალა,
რომლებსაც უკვე აღარ იყენებთ.
შეიხედეთ ავტო ფარეხში,
ჰკითხეთ მეზობლებს, გამგეობას...


იპოვე Pinterest-ში

#diy project playground
#diy
#hand made playground
#up-cycling playground
#up-cycling projects for kids


რა და როგორ შეგიძლია გამოიყენო




ფიცრები
მორები



დაკიდე
ჭამაკი




თოკი
საშურავი




ნახევრად ჩაფლო
ძველი საშურავები





შელეზე ძველი კასრები
და გამოიყენე სანავჯედ



საჩყვე სკამი



აიწონა-დაიწონა



ქვიშით სათბეო

და მრავალი სხვა...

სკვერის გახსნა

- 1.** გამოაქვეყნეთ ინფორმაცია სკვერის გახსნის დღესთან დაკავშირებით და მოიწვიეთ სტუმრები (პირადად, ფეისბუქის მეშვეობით, დაამზადეთ პოსტერი და გააკარით მაგლითად მალაზიაში, სკოლაში და ა.შ)
- 2.** დაგეგმეთ პროგრამა- სპორტული თამაშები, სხვადასხვა აქტივობა პატარებისთვის (ხატვა ფანქრებით, ხატვა ცარციტ, საპნისბუშტების შოუ და სხვა.)
სთხოვეთ სტუმრებს მოიტანონ სასუსნავი, ხილი.
- 3.** შეაგროვეთ ფოტო/ვიდეო მასალა და ღონისძიების მსვლელობის ან მისი დასრულების შემდეგ გააზიარეთ სოციალური მედიით.
მოიფიქრეთ და გამოიყენეთ ჰეშთეგი, მოიწვიეთ ადგილობრივი მედია.







#2 საბავშვო ღონისძიება

1. შეარჩიეთ შესაფერისი ადგილი საბავშვო ღონისძიებისთვის
2. შეარჩიეთ თარიღი ღონისძიებისთვის. უმჯობესია დღის მეორე ნახევარი (ბავშვების ასაკის და მათი ძილის საათების გათვალისწინებით)
3. შეადგინეთ პროგრამა და გადაინაწილეთ საქმე
4. იზრუნეთ იმაზე, რომ შერჩეული ადგილი იყოს ბავშვებისთვის უსაფრთხო
5. შეადგინეთ საჭირო ნივთების სია
6. განაცხადეთ დაგეგმილი ღონისძიების შესახებ და მოიწვიეთ სტუმრები (პირადად, ფეისბუქის მეშვეობით, დაამზადეთ პოსტერი და გააკარით მაგლითად მაღაზიაში, სკოლაში, ბაღში და ა.შ.)
7. იზრუნეთ გარემოზე, გაამზადეთ ურნები ან ჩამოკიდეთ ნაგვის პარკები


თამაშების და აქტივობების იდეები

ხაყვა და ნახაყვილ გამოყენა




1. თასი
2. მარი ჯიბი
3. ჭურჭელი
ლითხისთვის

გააწით თოკი ხეზე შორი



თოკილ ლაშინით



ფერადი სარცევილ
დამზადება



შურთით თამაში

იპოვე Pinterest-ზე
#diy backyard games
#diy outdoor activities for kids
#outdoor games

და მრავალი სხვა...

დავაშადოთ სითხე ბუშტებისთვის:

200 გრამ თბილ წყალს

ფრთხილად შევურიოთ 50 გრამი

ჭურჭლის ჟელე (უმჯობესია ფეირი) და ორი სუფრის კოვზი შაქარი.

მოვურიოთ ისე, რომ არ აქაფდეს.

ინგრედიენტები ფერადი ცარცებისთვის:

1.თაბაშირი

2.საკვების საღებავი ან ნებისმიერი სხვა საღებავი

3.პატარა ერთჯერადი ჭიქები

4.ჯოხი ან კოვზი მოსარევეად

ერთჯერად ჭიქაში ნახევრამდე ჩაასხით წყალი და გაურიეთ სასურველი ფერი.

შეურიეთ თაბაშირი სანამ არშესქელდება. კარგად მოურიეთ და დატოვეთ გასაშრობად რამდენიმე დღით.

ლონისძიების დღე


- 1.** შეკრება დანიშნულ ადგილას სულ მცირე 2 საათით ადრე. კიდევ ერთხელ გაიარეთ პროგრამა და გაინაწილეთ საქმე
- 2.** შეაგროვეთ ფოტო/ვიდეო მასალა და ლონისძიების მსვლელობის ან მისი დასრულების შემდეგ სოციალური მედიების აშვალეებით გააზიარეთ.
- 3.** ტერიტორიის დასუფთავება ლონისძიების დასრულების შემდეგ მნიშვნელოვანია!



#3 დასუფთავების დღე

1. შეკრიბეთ ძირითადი გუნდი და შეარჩიეთ დასასუფთავებელი ტერიტორია
2. შეიმუშავეთ დასუფთავების გეგმა და გაინაწილეთ მოვალეობები
3. შეატყობინეთ გამგეობას დაგეგმილი ღონისძიების შესახებ და სთხოვეთ დახმარება ნაგვის გატანასთან დაკავშირებით
4. განაცხადეთ დაგეგმილი ღონისძიების შესახებ და მოინვიეთ მოხალისეები

დაბჭირდებათ:




ხელთათმანები



ფოცხი
ცოცხი
ნიჩაში



მთაწყვეთ
ადგილი ნავჯილ
შესავროვეშლად



გამოგადგეშათ
ურიკას



ქარკეში ნავჯილთვილ

და სხვა...

ლონისძიების დღე

- 1.** შეიკრიბეთ დანიშნულ დღეს მოხალისეებთან ერთად და გაინაწილეთ დასასუფთავებელი ზონები
- 2.** შეაგროვეთ ფოტო/ვიდეო მასალა და ლონისძიების მსვლელობის ან მისი დასრულების შემდეგ სოციალური მედიების საშუალებებით გააზიარეთ დასუფთავების ლონისძიების დეტალები
- 3.** მოუწოდეთ მოსახლეობას არ დაანაგვიანოს გარემო (პლაკატები, სიმღერა, წარწერა ასფალტზე)





Region in Transition

